



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

წარმომადგენლობითი საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ფაკულტეტზე მათი რაოდენობის პროპორციულად.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე 4 წლის ვადით.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ორმაგი ოდენობით. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.
4. წარმომადგენლობით საბჭოში შედის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენელი.
5. პროფესორისა და სტუდენტისთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ სასწავლო უნივერსიტეტთან პროფესორის შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით.
7. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მუხლი 2. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება

1. წარმომადგენლობითი საბჭო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად:

ა) შეიმუშავებს სასწავლო უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

გ) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

ე) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ვ) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ზ) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;

თ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;

ი) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

კ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ლ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

მ) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ნ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს მართვის ორგანოების(მმართველი სუბიექტების) არჩევნების წესს;



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ო) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. წარმომადგენლობითი საბჭო გამოსცემს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებებს.
3. წარმომადგენლობითი საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებს აცხადებს რექტორი.

მუხლი 3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელსაც ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო თავისი რიგებიდან ოთხი წლის ვადით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს წარმომადგენლობითი საბჭოს სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას და ახორციელებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ბ) ორგანიზებას უწევს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას და თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს;

გ) ხელს აწერს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებებს, სხდომის ოქმებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;

დ) უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;

ე) წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვასა და საკითხის სრულყოფილ, ყოველმხრივ განხილვას;

ვ) აყენებს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ზ) უფლებამოსილია, დასვას საკითხი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის რიგგარეშე განხილვისა და კენჭისყრის შესახებ;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ე) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება.

ვ) სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობდეს წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობაში;

ბ) დასვას საკითხი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განსახილველად;

გ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები წარმომადგენლობითი საბჭოს კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე;

დ) მოითხოვოს და გამოვიდეს სიტყვით, შეკითხვებით მიმართოს მომხსენებელს, სპიკერს და მიიღოს პასუხი;

ე) გამოთქვას აზრი იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომელთაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო;

ვ) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის და წარმომადგენლობითი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხების განხილვაში;

ზ) განახორციელოს სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მუშაობაში;

ბ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება და კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაცია;

გ) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნები, სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ა) სასწავლო უნივერსიტეტთან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის შესაბამისი აკადემიური ან/და სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა;

ბ) პირადი განცხადება.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე ტარდება არჩევნები დადგენილი წესით. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა მოკმედი წარმომადგენლობითი საბჭოს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

5. დაუშვებელია, უფლებამოსილებაშეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეულ იქნეს სტუდენტი და პირიქით.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. ახლად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარეობს სხდომის უბუცესი წევრი;

2. ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომაზე სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საბჭოს მოახსენებს არჩევნების შედეგებს და სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დამადასტურებელ საჭირო დოკუმენტაციას (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მისი მოწყობის სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების და სხვა საარჩევნო ინფორმაციის შესახებ).

3. სხდომის თავმჯდომარე სხდომის მონაწილეებს აცნობს საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურების თაობაზე საბჭოს დადგენილებაში შეიტანება ყველა ის პირი, რომლის არჩევა კანონიერად ჩათვალასასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ და დადასტურებულად მიიჩნია სხდომის მონაწილეთა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.

5. თუ იმ პირთა რაოდენობა, რომლის უფლებამოსილებაც წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადასტურა, სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლებია, მაშინ სხდომა წყდება. ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს მომდევნო სხდომას იწვევს სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტის არჩევიდან 10 დღის ვადაში.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

6. წარმომადგენლობითი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს ორ საუკეთესო შედეგების მქონე პრეტენდენტს შორის გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, 5 დღის ვადაში იმართება წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა და სპიკერის შერჩევის პროცედურა იმართება ხელახლა.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა მოიწვევა სპიკერის ინიციატივით ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმით. სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზი ეცნობება სხდომის თავმჯდომარეს წერილობით. საბჭოს წევრები სხდომაზე ცხადდებიან სპეციალური მოწვევის გარეშე. წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის პერიოდში წევრს უფლება აქვს დადგენილიწესით მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს განხილვის საგანია, წამოაყენოს წინადადებები, შენიშვნები და შესწორებები განსახილველ საკითხზე. შესთავაზოს კანდიდატურები და გამოთქვას თავისი აზრი ასარჩევი, დასანიშნი ან წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი კანდიდატურების მიმართ, დასვას შეკითხვები, ისარგებლოს კანონმდებლობითი და ამ წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით.

9. სრული შემადგენლობის უმრავლესობით წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია შექმნას კონკრეტული საკითხების შემსწავლელი კომისიები და/ან სამუშაო ჯგუფები, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მონაწილეობით. შესაძლებელია კომისიები და სამუშაო ჯგუფები შეიქმნას წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მოწვეული სპეციალისტების, ექსპერტების, საზოგადოების წარმომადგენლების, სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

10. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების მოწვევას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან.

11. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის გახსნისა და გადაწყვეტილებების მიღების წინ ხდება წევრთა რეგისტრაცია წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანთან. (რეგისტრაციის მონაცემები თან ერთვის სხდომის ოქმს და წარმომადგენლის ოქმის განუყოფელ ნაწილს).



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

12. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დასწრება შეუძლია სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს, რომლებმაც წინასწარ, არაუგვიანეს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომამდე ერთი დღით ადრე სამდივნოში შეიტანეს შესაბამისი განაცხადი.

13. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომები ღიაა. სხდომები შეიძლება იყოს დახურული. საკითხები, რომლებიც საიდუმლოების დაცვას საჭიროებენ, დამსწრეთა უმრავლესობით ცხადდება მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულად. დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს განსაზღვრავს საბჭოს სპიკერი.

14. სხდომის დროს წევრები, მოწვეული პირები ვალდებული არიან დაიცვან დადგენილი ეთიკის ნორმები და სხვა მოთხოვნები.

15. სხდომაზე განსახილველი საკითხები დგინდება არანაკლებ სამი დღით ადრე (გარდა რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგისა) დღის წესრიგს მიკუთვნებულ საკითხებთან ერთად მიეთითება მომხსენებელი პირი.

16. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია სხდომის მიმდინარეობის პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღოს ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით.

17. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომლის რეგისტრაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო. ოქმს თან ერთვის ყველა ის მასალა, რაც ამ სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განხილვის საგანს უკავშირდება.

18. ოქმის ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებენ სპიკერი და მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება წარმომადგენლობითი საბჭოს ბეჭედი. მოქმი მოიცავს:

- ა) სხდომის თარიღს;
- ბ) სხდომის წევრების სიას;
- გ) დღის წესრიგს;
- დ) მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- ე) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტის ასახვას(შინაარსი).

19. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება წარმომადგენლობითი საბჭოს ბეჭედი.

20. სხდომის ოქმი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შემთხვევაში).



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მუხლი 6. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელსაც ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო თავისი რიგებიდან ოთხი წლის ვადით, ამ წესდებით დადგენილი წესით.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა) პირადი სურვილი;
 - ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
 - გ) გარდაცვალება;
 - დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
 - ე) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება.

მუხლი 7. უფლებამოსილების განხორციელების ფორმები

1. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია დადგენილების ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებას ხელს აწერს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი.
3. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს მიმართვა, განცხადება, აგრეთვე, მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები, დააყენოს შუამდგომლობა მართვის ორგანოებისა და მმართველი სუბიექტების წინაშე.
4. წარმომადგენლობითი საბჭო გააჩნია ბეჭედი.
5. წარმომადგენლობითი საბჭო სამუშაო და საქმისწარმოების ენაა – ქართული.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებაში ცვლილებები და დამატებები ხორცილდება კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.